

#1, იანვარი, 2008

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული
დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია
სოციალურ სფეროზე ორიენტირებული
საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის
იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება
უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების
მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში
წარმომადგენლობას
ადმინისტრაციულ ორგანოებში
და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული
კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას
ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

კონკურსი სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, სოციალურ
სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი
ორგანიზაციების საარსებო გარემოს გაუმჯობესების
პროექტის ფარგლებში, აცხადებს ჟურნალისტებისათვის
კონკურსს სახელწოდებით
„ვიზუალურ ერიმანეთზე“

კონკურსი სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის:

ვიზუალურ ერიმანეთზე!

(დაწვრილებით იხ. მე-2 გვ.)

ლონისძიება

საახალწლო ზეიმი

ასოციაცია „ანიკას“ დღის ცენტრში ბენეფიციარების, ასოციაციის ვოკალური ჯგუფის „ოცნების დასაწყისის“ წევრებისა და 149-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით საახალწლო ღონისძიება გაიმართა. მათი რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო – ხალხური და საესტრადო სიმღერები, ლექსები, ქართული ცეკვები.



ასოციაცია „ანიკას“ დღის ცენტრის 7 ბენეფიციარი წელიწადზე მეტია 149-ე საჯარო სკოლაში ინკლუზიურ და ინტეგრირებულ სწავლებასთან ჩართული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 149-ე საჯარო სკოლა არ შედის თბილისის ათი ინკლუზიური პროგრამის საპილოტე სკოლის რიცხვში. ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლის კეთილი ნების გამოვლინებაა. ერთწლიანი თანასწავლების შემდეგ სკოლის მოსწავლეები დამეგობრდნენ, მიუხედავად იმისა რომ სკოლა ეტლიანი ადამიანებისთვის შეუფერხებელი გადაადგილებისათვის ადაპტირებული არ არის, შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებს თანაკლასელები და სკოლელები აქტიურად ეხმარებიან. მეგობრობა



საახალწლო ზეიმსაც დაეტყო საახალწლო აქსესუარები და მოსაწვევები სკოლის მოსწავლეებმა და ცენტრის ბენეფიციარებმა ერთობლივად დაამზადეს. ბავშვებმა სურვილების ნაძვის ხეც შექმნეს და ერთმანეთისადმი მიძღვნილი სურვილებით მორთეს.

**კონკურსი
(გაგრძელება)**

კონკურსის მიზანი

ხელი შეუწყოს სოციალური თემების უფრო ფართოდ და ღრმად გაშუქებას.

კონკურსი ჩატარდება 4 ნომინაციაში

1. საუკეთესო საგაზეთო სტატია;
 2. საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი;
 3. საუკეთესო ფოტო ნამუშევარი;
 4. საუკეთესო რადიო სიუჟეტი;
- თითოეულ ნომინაციაში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელსაც გადაეცემა კონკურსის გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი ჯილდო – 1000 ლარის ოდენობით

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ მედია საშუალებებში სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებს. საკონკურსო ნამუშევრების მიღება გრძელდება 10 თებერვლამდე.

მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით

- ❖ სატელევიზიო სიუჟეტი – CD-ზე ან ვიდეო კასეტაზე;
- ❖ რადიო სიუჟეტი – CD-ზე;
- ❖ სტატია – გაზეთი ან ჟურნალი, რომელშიც დაიბეჭდა სტატია (უკიდურეს შემთხვევაში ნაბეჭდი ტექსტი გამოცემის და თარიღის ზუსტი მითითებით);
- ❖ ფოტო – CD-ზე (JPG ფორმატში) და დაბეჭდილი A4 ფორმატით;
- ❖ მასალის ჩაბარებისას მონაწილემ უნდა შეავსოს სპეციალური ანკეტა;
- ❖ საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალები გამოქვეყნებული ან ეთერში გასული უნდა იყოს 2007 წლის განმავლობაში.

კონკურსის მონაწილეებმა საკონკურსო მასალა უნდა წარმოადგინონ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ოფისში,
მის: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი 2, V სართული,
ტელ: 941 605, 330 417
ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

საქართველოს კანონი „შვილად აყვანის შესახებ“

2007 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შვილად აყვანის შესახებ“, რომლის ძირითადი ნაწილიც ამოქმედდება 2008 წლის 1 მაისიდან. შესაბამისად ამ თარიღიდან ძალას კარგავს შვილად აყვანის სფეროში დღეს მოქმედი კანონი „შვილად აყვანის წესის შესახებ“.

„შვილად აყვანის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უფლების განხორციელებას და უზრუნველყოს შვილად აყვანის სისტემის გამართული ფუნქციონირება. კანონი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) განსაზღვრული პრინციპებიდან და განსაზღვრავს არასრულწლოვანი საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის შვილად აყვანის წესს, პირობებსა და პროცედურებს. კანონი მთელ რიგ შემთხვევებში ახლებურად არეგულირებს შვილად აყვანასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები:

❖ **ვინ შეიძლება იყოს მშვილებელი** – მშვილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, გარდა იმ პირისა, რომელსაც:

- ჩამოერთვა მშობლის უფლება ან ადრე ჰყავდა შვილად აყვანილი სამეურვეო/სამზრუნველო პირი ან/და შვილობილი, მაგრამ ეს ურთიერთობა გაუქმდა მის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო;

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეზღუდული აქვს მშობლის უფლება;

- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია მშობლის მოვალეობათა ჯეროვნად შესრულება;

- სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

❖ **ვინ შეიძლება დაექვემდებაროს შვილად აყვანას** – შვილად აყვანას ექვემდებარება ერთიან რეესტრში აღრიცხული 18 წლამდე ასაკის პირი, რომელსაც მიენიჭა გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი, კერძოდ ბავშვი:

- რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

- რომელსაც არ ჰყავს არც ერთი მშობელი (შემდგომში – ობოლი ბავშვი);

- რომელიც აღიარებულ იქნა მიტოვებულ ბავშვად;
- რომლის მშობელმა (მშობლებმა) მის გაშვილებაზე თანხმობა განაცხადა (განაცხადეს) და რომელიც აღრიცხულია ერთიან რეესტრში;

- რომლის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება.

❖ **რა შეზღუდვებია დაწესებული შვილად აყვანაზე** – პირის შვილად აყვანის მიზნებია მისი კეთილდღეობის, ინტერესების დაცვის, ღირსეულად აღზრდის, სრულფასოვანი განვითარებისა და მის მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ამასთან შვილად აყვანა დასაშვებია თუ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილს შორის. ზემოაღნიშნული ინტერესებიდან გამომდინარე დაწესებულია შემდეგი შეზღუდვები:

- აკრძალულია შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის წინასწარ შერჩევა და მისი სამშობიაროდ საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ ქმედებაში ხელის შეწყობა;

- აკრძალულია გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლის საჯარო განცხადებით ძებნა ან შეთავაზება. გამონაკლისია საჯარო განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შვილად აყვანის საკითხებზე უნდა მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს ან ცენტრალურ ორგანოს. ასეთ განცხადებაში არ მიეთითება გასაშვილებელი ბავშვის ვინაობა;

- შვილად აყვანა არ შეიძლება პირობით, ვადის მითითებით ან წარმომადგენლის მეშვეობით. შვილად აყვანის დროს მშვილებელს უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადვოკატის ან სხვა უფლებამოსილი პირის იურიდიული მომსახურებით;

- ასაკობრივი სხვაობა მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის უნდა იყოს არანაკლებ 16 წლისა. პატივსაღები მიზეზის არსებობისას სასამართლომ შესაძლებელია შეამციროს ეს ასაკობრივი სხვაობა. ასეთი ასაკობრივი შეზღუდვა არ არის დაწესებული იმ შემთხვევაში თუ მშვილებელი არის დედინაცვალი ან მამინაცვალი.

❖ **ვის აქვს ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლება** – შვილად აყვანის დროს დაცული უნდა იქნეს ერთი მხრივ ერთიან რეესტრში არსებული რიგითობა, ხოლო მეორე მხრივ გასაშვილებელი ბავშვის ინტერესები და გათვალისწინებული უნდა იქნეს მშვილებელ ოჯახთან/პირთან მისი თავსებადობა. აქედან

(გაგრძელება მე-4 გვ.)

გამომდინარე გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს:

- მის ნათესავს. ამ შემთხვევაში ნათესავად ითვლება პირი, რომლისთვისაც გასაშვილებელი ბავშვი არის შვილიშვილი, დისშვილი, ძმისშვილი, გერი ძმის შვილი, გერი დის შვილი, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი ან მათი შვილები;

- ბავშვის მიმღებ ოჯახს, დედობილს ან/და მამობილს.

❖ რომელი ორგანოები ახორციელებენ შვილად აყვანის პროცედურებს და რა უფლებამოსილებები აქვთ –

გარდა კანონით პირდაპირ განსაზღვრული ორგანოებისა და პირებისა, ყველა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირს ეკრძალება ნებისმიერი ქმედება გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭებისა და შვილად აყვანის მიზნით. თუმცა დაშვებულია შვილად აყვანის დროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადვოკატის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ იურიდიული მომსახურების გაწევა, აგრეთვე საერთაშორისო გაშვილების დროს – შესაბამის ქვეყანაში უფლებამოსილი ორგანოს ან აკრედიტებული იურიდიული პირის მიერ მომსახურების გაწევა.

შვილად აყვანის სფეროში უფლებამოსილი ორგანოებია:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება (ორგანიზაცია) – სამინისტრო წარმოადგენს შვილად აყვანის სფეროში ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც: კოორდინაციას უწევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა მუშაობას, უზრუნველყოფს შვილად აყვანის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, შეიმუშავებს ერთიან რეესტრს, შეიმუშავებს მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის კრიტერიუმებს, აწარმოებს სოციალურ მუშაკთა უწყებრივ რეესტრს, წარმოადგენს ცენტრალურ ორგანოს საერთაშორისო გაშვილების საკითხებში, აგრეთვე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს;

- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროები, აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები – ზემოაღნიშნული ორგანოებია მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე. ისინი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებენ ბავშვის უფლებების დაცვას და შვილად აყვანის პროცედურების განხორციელების ყველა ეტაპზე არიან ბავშვის წარმომადგენლები.

მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ ისეთ უფლებამოსილებებს,

როგორცაა: შვილად აყვანასთან დაკავშირებით დასკვნების მომზადება, ადგილობრივი რეესტრის წარმოება, მშვილებელ ოჯახთა აღრიცხვა და სხვა;

- სასამართლოები – სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებებს შვილად აყვანასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ. შვილად აყვანის დროს საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს სასამართლო.

- სოციალური მუშაკი – შვილად აყვანის პროცესში მონაწილეობას იღებს სოციალური მუშაკი, ამასთან იგი აუცილებლად უნდა იყოს არასრულწლოვანთა პრობლემებზე მომუშავე სოციალური მუშაკი. სოციალური მუშაკი შვილად აყვანის პროცესში მონაწილეობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

❖ როგორ ხდება საერთაშორისო გაშვილება – საერთაშორისო გაშვილების დროს კანონმდებლობით დადგენილ საერთო მოთხოვნებთან ერთად (რაც ზოგადად დადგენილია გაშვილებისას) დაცული უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი პირობები:

- საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმა, თუ არ შეიძლება ბავშვი დაუზრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახს, ან შვილად იქნეს აყვანილი საქართველოს მოქალაქის ან/და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ და მისი საქართველოში გაშვილება შეუძლებელია.

- უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოდან შეუძლია იშვილოს ცენტრალურ რეესტრში აღრიცხვაზე მყოფი გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე პირი, რომელიც ცენტრალურ რეესტრში აღრიცხვაზე აყვანიდან 18 თვეში ვერ იქნა შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქის მიერ. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკი ატარებს კვლევას, რომლის საფუძველზე წარმოდგენილ დასკვნაში უნდა აღინიშნოს მიზეზები, რომელთა გამოც საქართველოში ვერ მოინახა ამ ბავშვისათვის მშვილებელი. ჩატარებული კვლევის საფუძველზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით იწყებს მისი უცხო ქვეყანაში გაშვილების პროცედურის განხორციელებას.

- საერთაშორისო გაშვილებისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ან მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება) „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად უკავშირდება ხელშემკვერელ სახელმწიფოთა ანალოგიურ სამსახურებს და ცვლის ინფორმაციას. თუ რომელიმე უცხო ქვეყანა არ არის ამ კონვენციის ხელშემკვერელი მხარე ან/და მისი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული გაშვილების საკითხებში ცენტრალური ორგანო, მაშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამტკიცებს მშვილებელი ქვეყნის ცენტრალურ ორგანოსთან ან აკრედიტებულ შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციასთან დასადები სპეციალური ხელშეკრულების ფორმას.
 - უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანა შეიძლება, თუ მშვილებელი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და აღრიცხულია ცენტრალურ რეესტრში.
 - უცხო ქვეყანაში ბავშვის გასაშვილებლად სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა, რასაც ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი კომისია. კომისიის მუშაობის წესს, მის შემადგენლობასა და კომისიის მიერ უცხო ქვეყანაში გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმების წესს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.
 - უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ინფორმაციას აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.
- ❖ **კანონით აგრეთვე განსაზღვრულია ისეთი საკითხები, როგორცაა:**
- შვილად აყვანის პროცედურაში მონაწილე მხარეები და შესაბამისი ღონისძიებები – გასაშვილებელი ბავშვის გამოვლენა და აღრიცხვა, ბავშვის მიტოვებულად აღიარება, თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე და ბავშვის გაშვილება მშობლის თანხმობის გარეშე, მშვილებელ ოჯახთა აღრიცხვა, შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადება.
 - შვილად აყვანის საქმის წარმოება სასამართლოში – სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ საქმის განხილვა, გადაწყვეტილება შვილად აყვანის

ან შვილად აყვანაზე (გაშვილებაზე) უარის თქმის შესახებ, შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ან ბათილად ცნობის საფუძველები.

- შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგი, შვილად აყვანის საიდუმლოება, გაშვილების შემდგომი კონტროლი.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 1 იანვრამდე ამ კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს შვილად აყვანის სფეროში განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ხოლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა ფუნქციებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები – საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი განათლების სამინისტროები.

საკონკურსო განაცხადი

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, მმართველობითი და თანამდევნი საგანმანათლებლო მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ორეტაპიან ტენდერს „გლობალური ფონდის“ პროექტის „აივშიდისის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება“ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ ინტელექტუალურ მომსახურებაზე შემსრულებლის გამოსავლენად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 21 იანვარი, 2008

ან <http://www.civilin.org/welfare>

2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომპონენტის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 23 იანვარი, 2008

ან <http://www.civilin.org/welfare>

პრესის მონიტორინგი



კუთხით 5 პუბლიკაცია ინფორმაცია გამოქვეყნდა.


ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები


სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („ბასტა“; „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

დეკემბერში პრესაში გამოქვეყნდა 53 პუბლიკაცია, ინფორმაცია.



- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
- განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე
- ცერებრალური დამბლით დაავადებული
- ფსიქიკური პრობლემების მქონე
- ინვალიდი
- უნარშეზღუდული
- უსინათლო
- მხედველობადაქვეითებული
- ქუჩის ბავშვი
- ქუჩაში მცხოვრები ბავშვი
- მზრუნველობამოკლებული
- ობოლი ბავშვი
- სოციალურად დაუცველი ბავშვი
- მაწანწალა
- მიუსაფარი ბავშვი
- უპატრონო ბავშვი
- შეჭირვებული ბავშვი



- ახალი თაობა
- რეზონანსი
- ალია
- 24 საათი
- კვირის პალიტრა

თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას საქველმოქმედო აქციას მიეძღვნა, 23 ინფორმაცია სპუბლიკაცია, გამოქვეყნდა ერთი კონკრეტული ისტორია, შვიდი წერილი ორგანიზაციის საქმიანობას ეხებოდა, რომელთა ნაწილში ასევე აღწერილია ბენეფიციართა ცხოვრება, სხვადასხვა პროგრამის შესახებ 12 პუბლიკაცია გამოქვეყნდა, უფლებების შესახებ 5, ხოლო საცნობარო/საგანმანათლებლო/სტატისტიკური

საკონკურსო განაცხადი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 23 იანვარი, 2008

ან <http://www.civilin.org/welfare>

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ორეტაპიან საერთაშორისო ტენდერს რესურსტევადი მალაქტენოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 23 იანვარი, 2008

ან <http://www.civilin.org/welfare>